თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2053602

ნომერი: AR1330728

თარიღი : 29.07.2015

გაცემის თარიღი : 05.08.2015

გაცნობის თარიღი : 14.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , არტემ ლუსინიანის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია სამჭკუაშვილი პ/ნ 01011020967
- თბილისი ა.ლუსინიანის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1330728 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც აპროტესტებთ ქ. თბილისში, იალბუზის ქუჩა N 7-9; ლუსინიანის N5; (ნაკვეთი N134/25) (საკადასტრო კოდი: 01.17.01.134.025) მდებარე მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქი თბილისში, იალბუზის ქ. N 7-9, ლუსინიანის ქ.N5-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №1.17.01.134.025) სამსახურის მიერ 2015 წლის 30 აპრილის № 1870089 ბრძანებით შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, რომლის მშენებლობის ვადა განისაზღვრა 01.05.2015 წ-დან 01.05.2017 წ-ის ჩათვლით.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge), ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1281787 განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.